ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 16 თებერვალი, 2022 №33 (8811) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

„საფრანგეთის მოქალაქეებს საქართველოში 159.905 ევრო მოტყუებით ჩაარიცხვინეს“

თაღლითობის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი დააკავეს

გვ.5

„გახარია არსად წასულა...

„ქართული ოცნების“ უძლეველობის მითი და ნაციონალების ერთპარტიულობისკენ სწრაფვა მალე დამთავრდა“

გვ.2

კახა ქემოკლიძე: „სააკაშვილის ჩამოსვლამ მხოლოდ გახარიას პარტია დააზარალა“

„ქართული ოცნება“ შინაარსობრივად დაიცალა და მხოლოდ მავნებელ ძალად დარჩა“

„ოპოზიციამ უპატიებელი შეცდომა დაუშვა“

სოსო ცინცაძე: „5%-იანი ბარიერიდან უბარიეროზე უნდა გადავიდეთ, მაშინ, მერწმუნეთ, არსებული პოლიტიკური რეალობა შეიცვლება“

გვ.3

„ჯაფარიძისთვის დეპუტატის მანდატის ჩამორთმევა ღიად გამოცხადებული პოლიტიკური დევნაა“

ლევან სამუშია: „ამას ასე არ დავტოვებთ და ძალიან მალე იქნება პასუხი ამ უმსგავსობაზე. ნაბიჯებს მალე დაინახავთ“

გვ.3

გვ.2

ღარიბაშვილი: „რამდენიმე კვირაში დაიწყება თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების აფთიაქებში შეტანა“

გვ.4

პოლონელი ექსპერტი: „პუტინს მომავალი ეკონომიკური ცვლილებები აფრთხობს“

ჯაჭვლიანი წულუკიანის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს

გვ.4

ISSN 1987-9385

4 პრემიერის დავალებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ქოლ-ცენტრების საქმიანობას შეისწავლის

5 „რაღაცით გაალო ფანჯარა“ თსსუ-ის კლინიკიდან პაციენტი გადახტა

5 კახეთში ცოლ-ქმრის მკვლელობისთვის ძებნილი პირი ბათუმში დააკავეს

4 შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ფინანსური დანაშაულების გამოძიების საკითხებზე ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს

„გახარია არსად წასულა...

„ქართული ოცნების“ უძლეველობის მითი და ნაციონალების ერთპარტიულობისკენ სწრაფვა მალე დამთავრდა“

კახა ქემოკლიძე: „სააკაშვილის ჩამოსვლამ მხოლოდ გახარიას პარტია დააზარალა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი კახაბერ ქემოკლიძე პასუხობს.

– ბატონო კახა, არცთუ სახარბიელო სიტუაციაა დღეს ქვეყანაში. როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების მიმართ? რა პოლიტიკა აქვს არჩეული „ქართულ ოცნებას“? რას ფიქრობთ ბოლო პერიოდში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე?

– „ქართული ოცნება“, ჩემი აზრით, ვერ აცნობიერებს იმ სიღრმისეულ რისკებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს იმ შეცდომების მთელი ჯაჭვი, რომლებსაც ისინი უშვებენ. როდესაც შიდაპოლიტიკურ კონტექსტში იქმნება ვაკუუმი და ეს ვაკუუმი ივსება სწორედაც იმ მსგავსი შეცდომებით, აფეთქების მუხტი იქნება ძალიან ძლიერი, თუკი ეს მომენტი განხორციელდა. ეს არის ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკი, რომელსაც, ჩემი აზრით, „ქართული ოცნება“ დღეის მოცემულობით ვერ ხედავს. თუ ასე მოხდა, დაზარალდება სახელმწიფო. მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“, ზედმეტად და არარაციონალურად არის დარწმუნებული საკუთარ თავში. როდესაც ჩათვალეს, რომ მათ აქვთ 46%-იანი მხარდაჭერა, ეს აპრიორი არ არის სიმართლე და ავხსნი, რატომ.

– ანუ „ოცნებას“ ამხელა მხარდაჭერა არ აქვს?

– დიახ, ასეა და აი რატომ. ის მაღალი დონის შანტაჟი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ძალოვანი სტრუქტურების გამოყენება, უდიდესი ფული, უდიდესი ფინანსური რესურსი, მათ შორის შავი ფული, რომლითაც მათ ჩაატარეს არჩევნები. ისინი ფიქრობენ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც, პირობითად, იმ მძიმე სოციალუ-რეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ შემოხაზეს, თუნდაც სხვადასხვა დაშინებით, მართლაც მხარს უჭერენ. სინამდვილეში ასე არ არის. ეს მოსყიდული ადამიანები მათი იდეოლოგიური მოკავშირეები არ არიან.

– ბოლო კვლევების მიხედვით, ძალიან მაღალი პროცენტია ისეთი, რომელსაც არც ხელისუფლება უნდა და არც ოპოზიცია მოსწონს. საით უნდა წავიდეს ეს ხმები, როდესაც მთლიანად პოლარიზებულია პოლიტიკური ველი. ახალ პოლიტიკურ ძალას არც ერთი მხარე არ უშვებს პოლიტიკურ ბაზარზე. რა მოლოდინები გაქვთ, გამოჩნდება ძალა, რომელიც ამ ხმებს წაიღებს?

– პოლარიზებულია ველი, იმიტომ, რომ ეს აწყობს „ქართულ ოცნებას“ და ნაწილობრივ ეს აწყობს ნაციონალურ მოძრაობასაც. როდესაც ჩემიანებად და სხვისიანებად დაყოფის ხარისხი იზრდება, ავტომატურად შუალედური ელექტორალური ბაზა იწყებს გაკრეფას ან ერთ, ან მეორე მხარეს. ამის მათემატიკური დადასტურება იყო ის ფაქტი, როდესაც ბატონი სააკაშვილი ჩამოვიდა და არჩევნების დღემდე, ფაქტობრივად 48 საათში, პოლიტიკური ველი ისევ კრიტიკულად მაღალ ხარისხში აიყვანა პოლარიზაციის თვალსაზრისით. ამიტომ შუალედური სეგმენტის ძალიან დიდი ნაწილი, 70-80%, კვლავ ერთ და მეორე მხარეს გაიკრიფა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ერთ ნაწილს შეეშინდა, ძალიან დიდი რისკი შეიქმნა ნაცმოძრაობის უკან მობრუნების, ამიტომ ბევრი შუალედური პარტიის მხარდამჭერი კვლავ „ოცნების“ მხარეს გადაიხარა. ასევე მეორე მხარე, რომელიც შუალედურ სეგმენტს უჭერდა მხარს, გადაიხარა ნაციონალური მოძრაობისკენ, იმიტომ, რომ დაინახა ე.წ. რევოლუციური ეფექტის მოხდენის შესაძლებლობა, ანუ სწრაფი ცვლილებები, ძალიან მოკლე დროში. მათ იფიქრეს, რომ სააკაშვილის ჩამოსვლის შემდეგ შესაძლებელი იყო 180 გრადუსით ქვეყნისა და ხელისუფლების ამოტრიალება.

– ამან განაპირობა გახარიას გუნდის მარცხი ამ არჩევნებში? მარცხი იმიტომ, რომ გაცილებით მაღალ პროცენტს ელოდით, ვიდრე აიღეთ.

– სააკაშვილის ჩამოსვლამ მოახდინა ველის პოლარიზება და შუაში მდგომი სეგმენტი გააქრო, მათ შორის ბევრი ისეთი, ვინც გახარიას ემხრობოდა და ეს ველი კვლავ გაყო ორ ნაწილად. რა თქმა უნდა, ამ პოლარიზაციამ არც ერთი პარტია არ დააზიანა, გარდა გახარიას პარტიისა. ამისდა მიუხედავად, ჩვენმა პარტიამ საქართველოს უახლეს ისტორიაში მაინც უპრეცედენტო მხარდაჭერა მიიღო. ეს არის ის 8%, რომელიც, ამ უკიდეგანო პოლარაზიციის მიუხედავად, მაინც გახარიას პარტიას მიემხრო.

– ბატონო კახა, ძალიან ბევრი სვამს კითხვას და მეც უნდა გკითხოთ, სად არის გიორგი გახარია, რატომ არ ჩანს? ბევრი ამბობს, რომ წარუმატებელი არჩევნების შემდეგ ცდილობს, განერიდოს პოლიტიკას.

– გიორგი გახარია საქართველოშია. გიორგი გახარია არის პრაგმატულად მშრომელი ადამიანი. შესაბამისად, ის ყოველდღიურ პოლიტიკურ პროცესს არათუ აკვირდება, არამედ შინაარსობრივად, ანალიტიკურად სწავლობს და სწორადაც დგამს იმ ნაბიჯებს, რომლებსაც თავის გუნდთან ერთად იღებს. ეს პარტია მარტო გიორგი გახარია არ არის და სწორედ ეს არის მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლუსი. ამ ქვეყანაში ერთ კაცზე ჩამოკიდებული პარტიები დამღუპველია. მისი ყველაზე დიდი სიძლიერე, როგორც პოლიტიკოსისა და პარტიის ლიდერის, არის ის, რომ ახალგაზრდა ლიდერებს აძლევს საშუალებას, განვითარდნენ და ემსახურონ საქართველოს. გახარია საკმაოდ აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. ის აუცილებლად გამოჩნდება.

– მუშაობს, მაგრამ არ ჩანს? თუმცა ეს საკრებულოებზე აისახა დასავლეთ საქართველოში...

– არა მარტო დასავლეთში, აღმოსავლეთშიც. ჩათვალეთ, რომ გარკვეულწილად ეს არის მისი სტრატეგიულ-ტაქტიკური ხაზი. შემდეგ არჩევნებამდე, როგორც მინიმუმ, შესაძლოა, იყოს ერთი წელი, ხოლო როგორც მაქსიმუმ – ორი. ამიტომ ჩვენ ძალიან მონოტორულად, შინაარსობრივად, მათ შორის სტრატეგიული მოთმინებით ვაკვირდებით, ვსწავლობთ პოლიტიკურ პროცესებს და გახარიას გარდა ყველა ვჩანვართ და მივყვებით პროცესებს. თქვენ ამ შედეგებს მალე ნახავთ. „ქართული ოცნების“ უძლეველობის მითი, ისევე, როგორც ნაციონალების ერთპარტიულობისკენ სწრაფვა, ფაქტობრივად დამთავრდა. სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა ის, რაც მოხდა რუსთავში, ზუგდიდში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში და ეს გაგრძელდება აუცილებლად.

– ბატონო კახა, ბოლო პერიოდში აქტიურად გადანაშაულებენ ნაციონალებთან ალიანსში – მათი დახმარების გარეშე გახარიას გუნდი ამ კონკრეტულ საკრებულოებს ვერ მოიპოვებდაო. რა ხდება? ამის გამო ბევრი თქვენი მხარდამჭერიც იმედგაცრუებულია. არ ჩანს გახარია და ისმის მხოლოდ „ოცნების“ შეფასებები: აი, ხომ ვამბობდით, გახარია და ნაცმოძრაობა ერთად არიანო. რით უპასუხებთ ამ ყველაფერს?

– კარგი კითხვაა და მადლობა, რომ დამისვით. ეს არის „ქართული ოცნების“ სტრატეგიული ამოცანა. ამას ხაზგასმით ვამბობ. რატომ? იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ შინაარსობრივად, ინტელექტუალურად, მორალური ფასეულობებით, ღირებულებებით დაიცალა. დამშრალია ეს პარტია. მეტიც, რასაც იდეოლოგიურად ისინი ეწინააღმდეგებოდნენ 2011-2012 წლებში, თავადვე აითვისეს ის მავნე და ბნელი პრაქტიკა, რომელიც მაშინდელ ნაცმოძრაობას ჰქონდა. ამის ძალიან მკაფიო დადასტურებაა ის, რომ მათი სიები, თუნდაც საკრებულოების სიების პირველი ათეულები რომ ავიღოთ, მათგან 60-70% ან ყოფილი იდეოლოგიური ნაცი იყო, ან მათი აქტიური მხარდამჭერი. დღეს კი ხელოვნურად ცდილობენ, გახარიას პარტია შეაწებონ ნაცმოძრაობას. სხვანაირად ვეღარ შეკრებენ იმ ელექტორატს, რომელმაც პოტენციურად „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა უნდა გაამაგროს.

– ცუდად არის დღეს პარტია „ქართული ოცნების“ საქმე?

– აღარავინ დარჩათ პარტიაში ინტელექტუალი, ყველამ დატოვა პარტია. თუ ვინმე დარჩა ამ პარტიაში, გაჩუმებულია სხვადასხვა ბიზნესინტერესიდან გამომდინარე. ამ ადამიანებს სკამი და თანამდებობა რომ გამოაცალო, საკუთარ რაიონში ათას ხმასაც კი ვერ აიღებენ. ერთადერთი ეს დარჩათ, საინფორმაციო ტექნოლოგიებით მანიპულირება, ცრუ ინფორმაციების გავრცელება. სხვას უკვე ვერაფერს სთავაზობენ საზოგადოებას. ის, რაც მოხდა ზუგდიდში, რუსთავში, იგივე სხვა საკრებულოებში, არის ძალაუფლების ბალანსის პრინციპი. ჩვენ ვეუბნებით, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთპარტიულად ვერასოდეს ვერ შეძლებენ არათუ მუნიციპალიტეტების, არამედ სამომავლოდ ხელისუფლებების ფორმირებასაც. ის, რაც სამომავლოდ ხელისუფლების დონეზე უნდა მოხდეს, სწორედ დღეს ხდება მუნიციპალიტეტებში.

– რატომ დაგიჭირეს მხარი ამ კონკრეტულ საკრებულოებში ნაციონალური მოძრაობის წევრებმა?

– ამას ერთადერთი ახსნა აქვს. ეს არის ძალიან მარტივი არგუმენტი. მათაც გაუჭირდათ, სხვათა შორის, ამ გადაწყვეტილების მიღება. ისინი თვეების განმავლობაში ცდილობდნენ, სწორედაც ამ ერთპარტიულ ველზე გაკრეფას იმ არგუმენტით, რომ მათ უფრო მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ და ისინი უნდა ყოფილიყვნენ საკრებულოს თავმჯდომარეები. ერთგვარად ჩვენს შანტაჟსაც კი ცდილობდნენ. თუმცა ჩვენმა სტრატეგიულმა გათვლამ და მოთმინებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ნაციონალურ მოძრაობას მოუწია იმ ბალანსის ფორმულის მიღება, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ. ჩვენც და ნაციონალებიც ვთანხმდებით იმაზე, რომ ახალი არჩევნები ამ საკრებულოებში არც მათ და არც ჩვენ არ გვაწყობს. ამ არჩევნებს სჭირდება ფინანსური და სხვადასხვა ინსტრუმენტალური რესურსი, რომელიც მხოლოდ „ოცნებას“ გააჩნია. ახალი არჩევნები არც ნაცმოძრაობას აწყობდა, ამიტომ სწორედ ეს იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც მხარი დაგვიჭირეს.

– „ოცნებამ“ გახარიას პარტია და ნაცმოძრაობა საკრებულოებში ერთმანეთს შეატოვა, რადგან მერე მათ შორის ალიანსზე უფრო ხმამაღლა ელაპარაკაო.

– დიახ, ასეა. როდესაც ხელისუფლება მიხვდა, რომ საკრებულოებში ოპოზიციამ გაცილებით მეტი მხარდაჭერა მიიღო, ვიდრე მათ, იმიტომ, რომ შინაარსობრივად დაიცალა ეს პარტია და მხოლოდ მავნებელ ძალად დარჩა. სენაკის საკრებულო რომ არ შემდგარიყო, ბოლო 6 თვე „ოცნება“ საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა.

– ანუ შეგვიძლია იმის თქმა, რომ გახარია არსად არ წასულა და მისი პარტია ადგილობრივ თვითმმართველობით დონეზე ძლიერდება?

– 100%-ით ასეა. გახარია არსად არ წასულა. ის არის ძალიან ჭკვიანი და კარგი სტრატეგი. ჩემი აზრით, ის, რაც ახლა ხდება, ორი თავკომბალა პარტია, ერთი მხრივ, „ქართული ოცნება“ და, მეორე მხრივ, ნაცმოძრაობა, იძულებული გახდა, სხვადასხვა სიბრტყეში, რომ ჩვენი პარტიის წევრები სხვადასხვა მსხვილ ქალაქში გამხდარიყვნენ საკრებულოს თავმჯდომარეები, ეს არის სწორედაც ბატონი გახარიასა და მისი გუნდის წევრების დამსახურება.

– ანუ 2024-ისთვის აქტიურად ემზადებით?

– 2024 წლისთვის ჩვენ ძალიან ბევრი საშინაო დავალება გვაქვს. 2024-მდე როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას ძალიან ბევრი სიურპრიზი ელოდებათ. ძალიან სწორად და სტრატეგიულად ვუდგებით ამ საკითხს, ამიტომ ის შედეგები, რომლებიც 2024-ში დადგება, გარწმუნებთ, ყველას გააოცებს, განსაკუთრებით კი – „ქართულ ოცნებას“. დღეს „ქართული ოცნება“ ბანქოს სახლს ჰგავს. მას არ გააჩნია არც ერთი ფუნდამენტი, რომელზეც სახლი უნდა იდგეს. ხელისუფლებას ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს, ამიტომ ნებისმიერმა ფეხის გადაბრუნებამ, შესაძლოა, ისეთი სახის დეტონაცია შექმნას, რომ თვითონაც ვერ წარმოიდგინონ ამის აფეთქების ეფექტი.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად აქტიურად არის დღეს ქვეყნის მართვის პროცესში ჩართული ბიძინა ივანიშვილი?

– იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში არიან დარჩენილი, აქვთ სერიოზული პრობლემა და სამომავლოდაც ექნებათ სერიოზული გადაწყვეტილებების მარტო მიღების პრობლემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი მსხვილი გადაწყვეტილება პირდაპირ კოორდინირდება ბატონ ივანიშვილთან. მე ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული.

ღარიბაშვილი: „რამდენიმე კვირაში დაიწყება თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების აფთიაქებში შეტანა“

– მედიკამენტებზე მაღალი ფასები მიუღებელია. ჩვენ ამაზე რეაგირება გვქონდა, გამოსავალი მარტივად ვიპოვეთ და უახლოეს რამდენიმე კვირაში დაიწყება თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების აფთიაქებში შეტანა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ადრე არსებული ბარიერები მოიხსნა და მაგალითად, მედიკამენტის იმპორტისთვის ლიცენზიის აღების ვადა 45 სამუშაო დღიდან 7 დღემდე შემცირდა.

– მე ვიცი, რომ ფარმაცევტული კომპანიები, იმპორტიორები უკვე მუშაობენ აქტიურად, რომ შემოიტანონ ხარისხიანი, იაფი მედიკამენტები თურქეთიდან და, ჩემი ინფორმაციით, უახლოეს რამდენიმე კვირაში დაიწყება მედიკამენტების აფთიაქებში შეტანა. ესეც შვება იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის იმიტომ, რომ რეალურად ეს ხარჯები დიდ ტვირთად აწევს ჩვენს მოსახლეობას, მაღალი ფასები მედიკამენტებზე აბსოლუტურად მიუღებელია, ამიტომ, ამაზე ჩვენ რეაგირებაც გვქონდა და გამოსავალიც ვიპოვეთ მარტივად. დანარჩენი, რაც ბატონ ზურას აქვს დაწყებული პროცესი, რომელიც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებას, ელექტრონული რეცეპტების დანერგვას, ეს ყველაფერი პროცესშია, ძალიან მალე, მარტიდან ჩაეშვება, ჩემი ინფორმაციით და ვფიქრობ, ეს შეუწყობს ხელს კონკურენციის გაძლიერებას. იმპორტიორებს უნდა გავუხსნათ გზა. მე ვიცი, რომ ბარიერები, რომლებიც არსებობდა მანამდე, მაგალითად, 45 სამუშაო დღე სჭირდებოდა მედიკამენტის იმპორტისთვის ლიცენზიის აღებას. ეს 7 დღემდე შევამციროთ და გვინდა, რომ ბაზარი მაქსიმალურად გავხსნათ, რომ მეტმა შემოიტანოს, მეტი კონკურენცია იყოს, ნაკლები ფასები იყოს მედიკამენტებზე და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენს მოქალაქეებს დაუზოგავს თანხებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციამ უპატიებელი შეცდომა დაუშვა“

სოსო ცინცაძე: „5%-იანი ბარიერიდან უბარიეროზე უნდა გადავიდეთ, მაშინ, მერწმუნეთ, არსებული პოლიტიკური რეალობა შეიცვლება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, შეიძლება ბადრი ჯაფარიძეც კი დარწმუნებული იყო, რომ სადეპუტატო უფლებამოსილებას შეუწყვეტდნენ, მაგრამ ოპოზიციის რაღაც ნაწილს მაინც სჯეროდა, რომ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. როგორ აფასებთ ოპოზიციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილებას?

– ეს იყო აბსოლუტურად მოსალოდნელი და გათვლადი გადაწყვეტილება. ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, რეალობად აქცია. რასაკვირველია, ბალანსის თვალსაზრისით უკეთესი იყო, ოპოზიცია სრულად ყოფილიყო პარლამენტში წარმოდგენილი, მაგრამ, ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ოპოზიცია მოიქცა, როგორც უმწიფარი ბავშვი. პოლიტიკას კი ასეთი გაუთვლელი, არარაციონალური ქცევები არ უყვარს, არ გპატიობს. პოლიტიკას მოექცნენ, როგორც საბავშვო ბაღს და ეს ჩემთვის, ამ დარგის სპეციალისტისთვის, სრულიად მიუღებელი და წარმოუდგენელი იყო.

თავიდანვე, როდესაც ბოიკოტის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება და საპარლამენტო სიები ჩახსნეს, ეს იყო უპატიებელი შეცდომა. ბოიკოტი მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში გაამართლებდა, თუ არც ერთი, ვიმეორებ, არც ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი არ შევიდოდა პარლამენტში, მაგრამ, როდესაც ელისაშვილი შევიდა, იქ უკვე ბოიკოტზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და იმწუთშივე ოპოზიციას ბრძოლის ტაქტიკა უნდა შეეცვალა, უნდა ეთქვა – დიახ, შევდივართ და ბრძოლას ვაგრძელებთ შიგნიდანო. არანაკლები ბრძოლის გამართვა შეიძლება საპარლამენტო ტრიბუნიდან და უფრო წონიანის, მე ვიტყოდი, ვიდრე ქუჩაა.

თუ პრაგმატულად ვიმსჯელებთ, ოპოზიციას დიდი არაფერი არ დაუკარგავს. ოპოზიცია მაინც ხმათა რაოდენობით ვერ აჯობებს უმრავლესობას. ამიტომ, უმჯობესია, ფარ-ხმალი არ დაყარონ, არც თავად ბადრი ჯაფარიძემ და ბრძოლა გააგრძელონ იმ პოზიციიდან, რომელიც აქვთ.

უკეთესია, ოპოზიცია მოემზადოს 2024 წლისთვის, თუ, რასაკვირველია, მათ სურთ რეალური შედეგების მიღება.

– მომზადებაში რას გულისხმობთ?

– პირველ რიგში, პარლამენტში უნდა იმუშაონ საკონსტიტუციო ცვლილებებზე. სრულად უნდა გადავიდეთ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და 5%-იანი ბარიერიდან უბარიერო ან ძალიან დაბალპროცენტიან ბარიერზე უნდა გადავიდეთ. მაშინ, მერწმუნეთ, არსებული პოლიტიკური რეალობა შეიცვლება.

– თუ საკონსტიტუციო ცვლილებებზე „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა და არც საარჩევნო ბარიერი არ დასწია?

– მაშინ გარანტირებულად გეუბნებით, რომ არაფერი არ შეიცვლება. ისევ „ქართული ოცნება“ იქნება ხელისუფლებაში და მეორე ოპოზიციური პარტია ისევ ნაციონალური მოძრაობა იქნება.

– „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ დაბალი ბარიერი მათი კეთილი პოლიტიკური ნება იქნება და ეს მხოლოდ მათ ხელშია.

– დიახ. ამიტომ ვამბობ, რომ ახლავე უნდა დაიწყოს მუშაობა ოპოზიციამ ამ საკითხზე. სხვა ყველა საკითხი შეიძლება მეორეხარისხოვანი იყოს. დღეს უმნიშვნელოვანესია სრული პროპორციული საარჩევნო სისტემა და დაბალი ბარიერი. ოპოზიციამ უნდა აიძულოს დასავლელი პარტნიორები, რომ მათ ზეწოლა მოახდინონ ხელისუფლებაზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, რომ ეს დანაპირები იქცეს რეალობად და „ოცნებამ“ უკან არ წაიღოს, როგორც სხვა ბევრი დანაპირები.

გასაგებია, ოპოზიციამ 30 წლის განმავლობაში ვერ ისწავლა სხვის შეცდომაზე, მაგრამ ახლა ვალდებულნი არიან, საკუთარ შეცდომაზე მაინც ისწავლონ. ოპოზიციას ინტელექტუალურმა რესურსმა უღალატა და სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. იმავეს ამჯერადაც ნუ გაიმეორებენ. პოლიტიკოსობა და პოლიტიკაში ყოფნა სხვა რესურსსა და დონეს მოითხოვს. რაც მე და სხვას ეპატიება, ის პოლიტიკოსს არ ეპატიება, თუ პოლიტიკოსზეა საუბარი.

– ოპოზიციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტით პოლიტიკურად რა მოიგო „ოცნებამ“?

– თუ მიზანი იყო, არ შექმნილიყო საგამოძიებო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა მიხეილ სააკაშვილის საკითხი და ამაში ოპოზიციას ხმები დააკლდება, ანუ ვერ შექმნის, მაშინ მოიგო. ისე, სიმართლე გითხრათ, „ქართული ოცნება“ შეცდა, თუ მხოლოდ ამ გადაწყვეტილებით იყო ნაკარნახევი ოპოზიციური დეპუტატებისთვის მანდატის შეჩერება.

– რატომ?

– იმიტომ რომ, რომც შეექმნა ნაციონალურ მოძრაობას ეს კომისია და რა დასკვნაც და დადგენილებაც არ უნდა დაედო, მითხარით, ხელისუფლების რომელი წარმომადგენელი გაუწვევდა მას ანგარიშს?! შეიქმნებოდა ეს კომისია, შეისწავლიდა საკითხს და ამით მორჩებოდა ეს ყველაფერი.

ახლა კი „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომელზეც შეიძლება ოპოზიციამ დასავლეთს უთხრას, რომ პარლამენტმა მანდატი შეუჩერა იმ დეპუტატს, რომელსაც პარლამენტში ყოფნა და მუშაობა უნდოდა, მაგრამ მას ამის შესაძლებლობა არ მიეცა. ეს ამომრჩევლის ნების წინააღმდეგ წასვლაა.

– ნაციონალური მოძრაობა განულებული სიების აღდგენაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია?

– ეს ზღაპარია. ეს მხოლოდ ლაპარაკია. ახლა მთავარია, ოპოზიცია არ დაიბნეს. უნდა დასხდნენ და გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგია შეიმუშაონ.

„ჯაფარიძისთვის დეპუტატის მანდატის ჩამორთმევა ღიად გამოცხადებული პოლიტიკური დევნაა“

ლევან სამუშია: „ამას ასე არ დავტოვებთ და ძალიან მალე იქნება პასუხი ამ უმსგავსობაზე. ნაბიჯებს მალე დაინახავთ“

იაგო ნაცვლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციონერ დეპუტატებს – ბადრი ჯაფარიძეს, შალვა ნათელაშვილსა და ელენე ხოშტარიას სადეპუტატო მანდატი ჩამოართვა. ელენე ხოშტარია პარლამენტში შესვლას ისედაც არ აპირებდა, ნათელაშვილმა კი ორწლიანი ბოიკოტის მერე ბრძოლა პარლამენტიდან გადაწყვიტა, თუმცა უმრავლესობამ ამის უფლება არ მისცა. რაც შეეხება ბადრი ჯაფარიძეს, ის შარლ მიშელის დოკუმენტზე შეთანხმების შემდეგ პარლამენტში იყო და იქიდან მუშაობდა.

პარტიებში ამას პოლიტიკურ დევნად აფასებენ. ბადრი ჯაფარიძე აცხადებს, რომ მანდატის გარეშეც გააგრძელებს ბრძოლას:

„მე ყველაზე ამაღელვებელი წუთი მაქვს განცდილი, როდესაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მოვაწერე ხელი, ასევე ნანახი მაქვს ეს დარბაზი აოხრებული, როდესაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მაშინ შემიწყვიტეს უფლებამოსილება, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შეწყდა ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილება“, – აღნიშნა ბადრი ჯაფარიძემ მისთვის უფლებამოსილების შეჩერებამდე რამდენიმე წუთით ადრე.

როგორ აფასებენ პარტიაში მმართველი ძალის გადაწყვეტილებას და რას დაუპირისპირებენ მათ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი **ლევან სამუშია** საუბრობს.

– როგორ აფასებთ მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას იმაზე, რომ თქვენი პარტიის ლიდერისთვის შეეწყვიტა უფლებამოსილება? რას ნიშნავდა ეს თქვენი პარტიისთვის?

– ეს არის ღიად გამოცხადებული პოლიტიკური დევნა. აქ სამართალზე საუბარი ზედმეტია. ეს არის ღია პოლიტიკური დევნა „ქართული ოცნების“ მხრიდან, უფრო სწორად, „რუსული ოცნების“ მხრიდან, იმიტომ, რომ მას „ქართული ოცნება“ უკვე აღარ ჰქვია. არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ ყოფილა. დღესვე შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამის უწყებებს და მოითხოვოთ, სად არის პირის ნასამართლობის ან არანასამართლობის საკითხი. დავუშვათ, შსს-ში, მაგრამ, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ისინი ბადრი ჯაფარიძეზე გეტყვიან, რომ პირი არ არის ნასამართლევი.

– მაშინ, რას უკავშირებთ ამ გადაწყვეტილებას?

– რას ვუკავშირებ და ღიად გამოცხადებულ პოლიტიკურ დევნას პრორუსული „ოცნების“ მხრიდან პრორუსულ ძალაზე. ეს არის სრულიად ნათელი, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ამას უპასუხოდ არ დავტოვებთ. ძალიან მალე იქნება ჩვენი პასუხი ამ ყველაფერზე და ამ უმსგავსობაზე.

ერთი პარალელი მინდა გავავლო. ბადრი ჯაფარიძე არის საქართველოს კონსტიტუციაზე ხელმომწერი და პირველი მოწვევის პარლამენტის წევრი. მაშინ იარაღის ძალით შეუწყვიტეს უფლებამოსილება და გახსოვთ ის მოვლენები. დღეს რუსულმა ოცნებამ ასევე უკანონოდ შეუწყვიტა უფლებამოსილება.

– ახსენეთ, რეაგირების გარეშე არ დავტოვებთო და რას გულისხმობთ?

– დანარჩენთან დაკავშირებით „ლელო“ უახლოეს მომავალში გაგაცნობთ ჩვენს გეგმებსა და მოსალოდნელ ნაბიჯებს.

– მათ შორის სამართლებრივი გზით წასვლასაც გეგმავთ?

– დიახ, ჩვენ ყოველთვის სამართლებრივ გზას ვირჩევთ, სამართლიან და კანონიერ ფორმაში ვმოქმედებთ.

– რაც შეეხება „ლელოს“, მაინც რჩებით პარლამენტში? ხედავთ აზრს, რომ საკანონმდებლო ორგანოში ყოფნას რაიმე აზრი ისევ აქვს?

– ჩვენ ყველა ფლანგსა და ყველა კანონიერი ბრძოლის ფორმას ვიყენებთ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან გაშვებისათვის. შემიძლია, ეს გიპასუხოთ თქვენს ამ შეკითხვაზე.

– ვხედავთ, რომ „ქართული ოცნება“ ამდენს ბედავს. რა შეგიძლიათ ოპოზიციას, რომ დაუპირისპიროთ მის ამ ქმედებებს?

– ოპოზიციამ უნდა დაუპირისპიროს და არა მარტო ოპოზიციამ, არამედ აქ საზოგადოების ერთიანობაა აუცილებელი და ჩვენ ვხედავთ ქვეყანაში წარმოუდგენელ სიდუხჭირეს, ზოგი ნაგვის ურნებშია თავით და ეძებს საკვებს. ეს არის „ქართული ოცნების“ პირდაპირი პოლიტიკა. ვხედავთ, რა ნიშნულამდეა ასული კორუფცია და ამან მოიტანა ზუსტად ჩვენი მოქალაქეებისთვის არსებული მდგომარეობა. ამას სჭირდება საზოგადოების ერთიანობა, პირდაპირ გეუბნებით. სიკვდილიანობით კოვიდთან მიმართებით მოწინავე პოზიციებზე ვართ. ყველაფერში მოწინავე ვართ „ქართული ოცნების“ პოლიტიკის პირობებში. ამას სჭირდება ერთიანობა და მეტი არაფერი.

– „ქართულ ოცნებას“ იმიტომ უფრო ხომ არ უნდა პარლამენტში ოპოზიციონერ დეპუტატთა რაოდენობა, რომ ეშინია საგამოძიებო კომისიების?

– მათ აბსოლუტურად ყველაფრის ეშინიათ და ეს არის პირდაპირი ბრძოლა პროდასავლური ძალების მიმართულებით. აბსოლუტურად ყველაფრის ეშინიათ და ცდილობენ გვებრძოლონ.

– მხოლოდ პროდასავლურის თუ ყველა ოპონენტის?

– არა, მისი ოპონენტები არ არიან პრორუსული ძალები. „ქართული ოცნების“ ოპონენტი არც ერთ შემთხვევაში არ არის პრორუსული ძალა. ხომ ხედავთ ამას?

– დღეს, შეიძლება – არა, მაგრამ წარსულში პრორუსულებიც არიან. ყოველ შემთხვევაში, მათ ასე მოიხსენიებდნენ ხოლმე კოლეგა პარტიები, მაგალითად, ბურჯანაძის პარტია.

– ამ შემთხვევაში დღეს ვინ პრორუსული ძალაა და ვინ – პროდასავლური, ყველამ კარგად ვიცით და ისიც ვიცით, ვინ უწყობს ხელს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას. ყველა შემთხვევაში თვითონ არის ფლაგმანი და რამდენიმე ე.წ. პოლიტიკური ძალაც არის, რომელსაც ხელს უწყობს.

– გუშინდელი გადაწყვეტილებით ხომ არ დაემუქრება პარლამენტში საფრთხე იმ კომისიების შექმნას, რომლებიც გქონდათ ოპოზიციას გაცხადებული?

– არ ვიცი. ამ შემთხვევაში პასუხი არ მაქვს. ჩვენ მიერ არის გაჟღერებული პოზიცია, რომ ვაპირებთ დავარეგისტრიროთ და შევქმნათ ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისია, რაც „ქართულ ოცნებას“ ძალიან აშინებს და ეს შემიძლია გითხრათ. მოვლენები როგორ განვითარდება, ვნახოთ.

ბრალდებული მანქანაში 5.422 კოლოფ უაქციზო სიგარეტს ინახავდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის ფაქტი გამოავლინეს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მისი მართვის ქვეშ არსებულ ავტომანქანაში 5.422 კოლოფ უაქციზო სიგარეტს ინახავდა.

„ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია აღნიშნული უაქციზო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება 24.389,60 ლარს შეადგენს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პოლონელი ექსპერტი: „პუტინს მომავალი ეკონომიკური ცვლილებები აფრთხობს“

რუსეთის სახელმწიფო დუმაში, კომუნისტების პროექტის გარდა, შესულია მმართველი პარტიის ალტერნატივა ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების აღიარების შესახებ

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია ისევ უკრაინის გარშემო შექმნილი ურთულესი მდგომარეობა. უცხოელი დიპლომატების გარდა, უკრაინა დატოვეს უკრაინელმა ოლიგარქებმა. ერთ-ერთი უკრაინული არხის ინფორმაციით, მარტო 13 თებერვალს უკრაინის ტერიტორიიდან გამოფრინდა 2 ათეული ჩარტერული რეისი – ოლიგარქები, მსხვილი ბიზნესმენები და მილიონერი დეპუტატები კერძო თვითმფრინავებით გარბოდნენ უკრაინიდან.

საერთაშორისო მიმომხილველები აგრძელებენ მოვლენების შეფასებას. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პუტინის მიერ წამოწეული უსაფრთხოების გარანტიები და უკრაინის ან საქართველოს ნატოში შესვლა-არშესვლის საკითხი მხოლოდ საბაბია, რომელსაც კრემლი იყენებს.

რატომ გააქტიურდა პუტინი მაინცდამაინც ახლა? პოლონელი ექსპერტი შოპსკი ამას ასე ხსნის:

– რუსეთს ესმის, რომ წინ დიდი ეკონომიკური ცვლილებებია. მომავალში უარს ეტყვიან წიაღისეულ სათბობს. მალე ნავთობი და გაზი ვერ უზრუნველყოფს რუსეთის სტრატეგიულ ეკონომიკურ მდგომარეობას. მას ესმის, რომ შესაძლებლობების ფანჯარა იხურება. ამიტომ აწარმოებს შესაბამის თამაშს დასავლეთთან. პუტინმა რაღაც უნდა იღონოს, ვინაიდან რამდენიმე წელიწადში რუსეთისთვის იმდენად არახელსაყრელი პირობები შეიქმნება, რომ ამგვარი ქმედებები უნაყოფო გამოვა.

პოლონელი ანალიტიკოსი აღიარებს, რომ ინიციატივა ამჟამად პუტინის ხელშია, თუმცა მას მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი:

– ინიციატივა რუსეთის მხარესაა. იქ ერთი ცენტრი იღებს გადაწყვეტილებებს – პუტინი. მეორე მხარე შეთანხმების მიღწევისათვის იბრძვის. ამასთან, პრეზიდენტი ბაიდენი იძლევა საკუთარი ლიდერობის გარანტიას იმ დონეზე, რომ შესაძლებელია საუბარი თანასწორ ურთიერთობაზე.

შოპსკის აზრით, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია დამოკიდებული იქნება პუტინის საბოლოო მიზნებზე. რუსეთის ლიდერი დასავლეთის მხრიდან ასეთ ხისტ და მტკიცე რეაქციას არ ელოდა.

იმაზე, რომ პუტინი მომავალ ცვლილებებს უფრთხის და ჩქარობს, საუბრობს ასევე ფინეთის პრეზიდენტი ნიინისტე. მისი დასკვნით, პუტინმა იგრძნო ცვლილებები. ამიტომ გადაწყვიტა, გამოიყენოს ახლანდელი მდგომარეობა თავისი მიზნების მისაღწევად.

ფინეთის პრეზიდენტის აზრით, პუტინი თავადაც იცვლება. 2021 წლის შემოდგომიდან მან დაიწყო სიმტკიცის გამოჩენა საგარეო პოლიტიკაში. უკრაინა ამ შემთხვევაში მისთვის სატყუარაა.

პუტინის პოლიტიკას გამკრიტიკებლები რუსეთშიც ჰყავს. სახელმწიფო დუმაში ნამდვილი ოპოზიცია, ფაქტობრივად, არ არსებობს. დუმის წევრები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ ჩადენილი უკანონობის გამეორებას მოითხოვენ.

ვითომ ოპოზიციურმა კომუნისტურმა ფრაქციამ იანვარში წარმოადგინა დადგენილების პროექტი (პუტინისადმი მიმართვის პროექტი) უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების „დამოუკიდებლობის“ აღიარების შესახებ.

მისი ალტერნატივა ახლახან წარმოადგინა მმართველი პარტია „ედინაია როსიას“ დეპუტაციამ.

პროექტის თანახმად, სახელმწიფო დუმა მიმართავს პრეზიდენტ პუტინს ამ რეგიონების „დამოუკიდებლობის“ ცნობის თხოვნით.

– სახელმწიფო დუმის დეპუტატებს საფუძვლიანად და მორალურად გამართლებულად მიგვაჩნია დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების აღიარება. წინა წლებში სახალხო ნების გამოვლენის საფუძველზე რესპუბლიკებში აშენებულია სახელმწიფო დემოკრატიული ორგანოები ლეგიტიმური ხელისუფლების ყველა ატრიბუტით. ასეთი აღიარება შექმნის საფუძველს უსაფრთხოების გარანტიებისათვის, ხალხის დაცვისათვის გენოციდისა და საგარეო საფრთხეებისაგან, – ნათქვამია პროექტში.

რუსეთი დროდადრო უადგილოდ მიმართავს გაეროსა და მის წესდებას. სწორედ გაეროს წესდების მოშველიებით ცდილობს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი გაეროში დამკვირვებლის სტატუსის მიღებას. დონეცკისა და ლუგანსკის შემთხვევაში კი დეპუტატები ახსენებენ აღიარებას, რომელიც მოიტანს „რეგიონულ სტაბილურობას გაეროს წესდების პრინციპებისა და ამოცანების შესაბამისად“.

პრემიერის დავალებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ქოლ-ცენტრების საქმიანობას შეისწავლის

პრემიერმა ღარიბაშვილმა გადაწყვიტა, ქოლ-ცენტრების საქმიანობა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შეისწავლოს. როგორც ის განმარტავს, ე.წ. ქოლ-ცენტრები მუდმივი სპეკულირების საგანი გახდა და გამოძიება დაადგენს, რამდენად კანონიერია მათი საქმიანობა:

– მოგეხსენებათ, რომ ე.წ. ქოლ-ცენტრების საკითხი მუდმივი სპეკულირების საგანი გახდა, გარკვეული პოლიტიკოსების მხრიდან. პროკურატურამ ამის თაობაზე რამდენიმე ფაქტი გაასაჯაროვა, გამოძიების კონკრეტული შედეგები გაასაჯაროვა და მათ შორის, გერმანიის პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ღონისძიების შედეგებიც გაასაჯაროვა და ყველაფერი არის ნათელი, მაგრამ ვინაიდან არ წყდება ეს სპეკულაციები, მე მინდა ვთხოვო ბატონ ლაშას, რომ იგივე საგამოძიებო სამსახურის მეშვეობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ჩართეთ სხვა უწყებებიც, რომელიც შეისწავლის ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმიანობას ქვეყანაში. ბევრნაირი ქოლ-ცენტრი არსებობს ქვეყანაში, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ, თუ ეს საქმიანობა ცდება კანონიერებას, რა თქმა უნდა, ამაზე რეაგირება არის საჭირო და, კიდევ ვიმეორებ, რომ მე არ მინდა გვარების დასახელება, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ჩართული ჩემი ინფორმაციით, ამის თაობაზე გამოძიებას აქვს ინფორმაცია. მოგეხსენებათ, რომ პროკურატურამ რამდენიმე პირის მიმართ უკვე დაიწყო გამოძიება და შედეგებიც სახეზეა, მაგრამ მაინც საჭირო არის, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დარეგულირდეს და შეწყდეს ეს სპეკულაციები, რომელმაც მართლაც, კამპანიური ხასიათი მიიღო და თავის გაფუჭებულს აბრალებენ სხვებს. ისინი იყვნენ ჩართულები და ვინაიდან სახელმწიფომ გამოავლინა მათი ეს დანაშაულებრივი სქემები, ამის შემდეგ დაიწყეს შურისძიების მიზნით სხვებზე გადაბრალება, ამ შემთხვევაში, მთავრობის წევრებზე გადაბრალება, რაც მიუღებელია და ამას სჭირდება არგუმენტირებული პასუხები, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ 5 ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ

მეათე მოწვევის პარლამენტში ხუთი სადეპუტატო მანდატი დაიკარგა. ხუთივე ოპოზიციის კუთვნილი მანდატია.

ამის მიზეზი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებისადმი პროტესტის გამო, ოპოზიციური პარტიების მიერ საარჩევნო სიების „ჩახსნაა“. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად პარლამენტის გამოკლებული ოპოზიციონერი წევრების ადგილმონაცვლეთა შესვლა ვეღარ მოხდება.

გასულ წლის ბოლოს პირადი წერილობითი განცხადებების საფუძველზე პარლამენტიდან ნიკა მელია და მამუკა ხაზარაძე წავიდნენ. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით კი სადეპუტატო მანდატი შალვა ნათელაშვილს, ელენე ხოშტარიასა და ბადრი ჯაფარიძეს შეუწყდათ. რადგან ოპოზიციური პარტიების საარჩევნო სიები „განულებულია“, მათი ადგილმონაცვლეები პარლამენტში ვერ შევლენ.

შესაბამისად, მეათე მოწვევის პარლამენტი, მისი არსებობის განმავლობაში, 150 წევრის ნაცვლად 145 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი.

საარჩევნო სია ხუთმა ოპოზიციურმა პარტიამ – „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“, „ლეიბორისტულმა პარტიამ“, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ და „ლელომ“ ჩახსნა.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ფინანსური დანაშაულების გამოძიების საკითხებზე გამართულ უწყებათშორის სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ TOPCOP“ – ფარგლებში ჩატარდა.

სწავლება მისასალმებელი სიტყვით გახსნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა მამუკა ჭელიძემ. მან მადლობა გადაუხადა ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებს მხარდაჭერისთვის და პროექტის გუნდს აქტიური თანამშრომლობისთვის.

სწავლებაში ასევე მონაწილეობდნენ ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლები.

უწყებათაშორის ტრენინგს სამართალდამცველთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) მიერ მოწვეული ექსპერტები უძღვებოდნენ. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები.

სწავლებაზე ექსპერტებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: არალეგალური შემოსავლის კონფისკაციის ხერხები; კრიმინალური გზით დაგროვებული ქონების ჩამორთმევისა და მართვის გზები; კრიმინალური გზით დაგროვებული ქონების მოძიება და კონფისკაცია; ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება ფინანსური დანაშაულის გამოძიების კუთხით და სხვ.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლიდან ხორციელდება და 2024 წლამდე გაგრძელდება. მისი მიზანია სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის გაძლიერება სამართალდამცავ უწყებებს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა), ასევე, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებსა და ევროკავშირის შესაბამისი სამართალდამცავი უწყებების შესაძლებლობების და რეგიონული ქსელის გაძლიერება საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.



ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

„მას სუნთქვის მწვავე უკმარისობა აღენიშნებოდა“

თიანეთის ყოფილი მერი და პარლამენტის ყოფილი წევრი თამაზ მეჭიაური გარდაიცვალა.

როგორც საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკურმა დირექტორმა ლალი ტურძილაძემ აღნიშნა, მას სუნთქვის მწვავე უკმარისობა აღენიშნებოდა და ის გუშინ, 15 თებერვალს, დილით გარდაიცვალა.

თამაზ მეჭიაური კოვიდვირუსის შემდგომი გართულებებით კლინიკაში დაახლოებით 2 კვირის წინ გადაიყვანეს.

თამაზ მეჭიაური 67 წლის იყო. ის 2012-2016 წლებში საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. ასევე იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. 2016 წელს უთანხმოების გამო დატოვა „ქართული ოცნება“ და დააფუძნა პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“.

2017 წელს აირჩიეს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერად. 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზეზით თანამდებობიდან გადადგა, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში კენჭი იყარა, თუმცა არჩევნებში გამარჯვება ვერ მოიპოვა.

ᲯᲐᲭᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲓᲐᲕᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

მკლავჭიდის ეროვნული ფედერაცია კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს.

სამინისტროს კანცელარიაში ფედერაციის პრეზიდენტმა სოსო ჯაჭვლიანმა და მისმა უფლებადამცველმა კახა კოჟორიძემ წერილი უკვე შეიტანეს.

2021 წელს ბათუმში უნდა ჩატარებულიყო მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც, სამინისტროს გადაწყვეტილებით, გაუქმდა და მიზეზად ეპიდვითარება დასახელდა. ამის გამო მსოფლიო მკლავჭიდის ფედერაციამ ქართულ მკლავჭიდის ფედერაციას სოლიდური ჯარიმა – 900 ათასი დოლარი და 20 ათასი ევრო – დააკისრა.

იმის გამო, რომ ფედერაციას არ აქვს გადახდის საშუალება, ის მიმართავს წულუკიანის უწყებას, როგორც შუამავალს, დაეხმაროს თანხის გადახდაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყებს სამართლებრივ დავას.

სოლიდური ჯარიმის გარდა, ქართველ მკლავჭიდელებს 4-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და ამ პერიოდში ვერც ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე ისინი ვერ იასპარეზებენ.

ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაძლოა, დისკვალიფიკაცია მუდმივი გახდეს.

თაღლითობის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თაღლითობის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი დააკავა. მათ ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი გამოიწვია.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ბრალდებულებმა 2022 წლის დასაწყისში, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად, ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლება დაგეგმეს. დანაშაულებრივმა ქმედებამ 975.530 ლარის მატერიალური ზიანი გამოიწვია.

მათივე ცნობით, დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 6 პირი: 1976 წელს დაბადებული შ.ბ., 1996 წელს დაბადებული მ.ჭ., 1966 წელს დაბადებული ნ.ხ., 1988 წელს დაბადებული მ.ხ., წარსულში ნასამართლევი 1971 წელს დაბადებული თ.წ. და 1971 წელს დაბადებული თ.გ. დააკავეს. მათ ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი გამოიწვია.

დანაშაულები 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 2022 წლის დასაწყისში, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად, ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლება დაგეგმეს.

განზრახვის აღსრულებისთვის, შ.ბ.-მ, რომელიც ერთ-ერთი კომპანიის დირექტორია, ფინანსურ ინსტიტუტს მიმართა და პოს-ტერმინალის დადგმა მოითხოვა. მას შემდეგ, რაც შ.ბ.-მ პოს-ტერმინალი მიიღო, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, უკანონო მანიპულაციების შედეგად, მასზე გააააქტიურეს ე.წ. პრეავტორიზაციის ფუნქცია.

ბრალდებულებმა, 2022 წლის 27 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდში, უცხოეთში რეგისტრირებული ბანკის 2 საბანკო პლასტიკური ბარათის გამოყენებით, რომლებზეც არ იყო შესაბამისი თანხები, პოს-ტერმინალზე განახორციელეს 16 სხვადასხვა გადახდა, საერთო ოდენობით 2.314.890 ლარი. უკანონო ტრანზაქციების შემდეგ, ჯგუფის წევრებმა, წინასწარი შეთანხმებისამებრ, დროის უმოკლეს პერიოდში უზრუნველყვეს თანხის ნაწილის საკუთარ ანგარიშებზე გადარიცხვა და მათი განაღდება.

მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ 975.530 ლარის მატერიალური ზიანი გამოიწვია.

პოლიციამ შ.ბ.-ის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 12 ვაზნა, რომელთა ტარების უფლება ბრალდებულს არ ჰქონდა.

შ.ბ.-ს მმართველობაში არსებული კომპანიის ოფისის ჩხრეკისას კი ამოღებულია პოს-ტერმინალი, რომლის მეშვეობითაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დანაშაული ჩაიდინეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, ავტომანქანების და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს დიდი ოდენობით თანხები, საბანკო პლასტიკური ბარათები, მობილური და კომპიუტერული მოწყობილობები, ასევე, სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია.



დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებას, ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი გამოიწვია“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ქვითრებში იყო შეცდომები, მაგალითად, 2-იანის ნაცვლად 8-იანი ეწერა“

– ეს ისტერია ორი ქვითრის თემიდან დაიწყო, როდესაც მომხმარებელმა დეკემბრისა და იანვრის თვეებში ერთი ქვითრის ნაცვლად ერთდროულად ორი მიიღო.

ამის შესახებ „საქმიან დილაში“ სტუმრობისას ენერგოომბუდსმენმა, სალომე ვარდიაშვილმა, ელექტროენერგიის გაზრდილ გადასახადსა და „თელმიკოს“ ქვითრებზე საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, რადგან აღრიცხვიანობის სისტემა ნორმატიული აქტის შესაბამისად ძირეულად შეიცვალა, აღნიშნული ფაქტი მოულოდნელი მათთვის არ იყო. კომპანიას სხვა გზა არ ჰქონდა, 2021 წლის ხარჯი როგორმე უნდა ჩაეხურა.

ენერგოომბუდსმენის განმარტება

– მოგეხსენებათ, ელექტროენერგეტიკაში მოქმედებს სამსაფეხურიანი ტარიფი. ამ ტარიფების გაერთიანება რომ მოგვეხდინა, მოხდებოდა სრული დარღვევა, შესაბამისად, კომპანიამ მოძებნა მხოლოდ ერთი გამოსავალი, რაც ორი ქვითრის თემას გულისხმობს. ქვითრებში ნამდვილად მომხმარებლის ხარჯი იყო ასახული, რომელსაც ვერსად გაექცეოდა, უბრალოდ, ეს მხოლოდ ორ თვეზე გადანაწილებული არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იყო არარეალურად მაღალი ხარჯები, ერთი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ფართისთვის 900 კილოვატ-საათის მოხმარება თვის განმავლობაში ცოტა არარეალურია, ერთი შეფასებით მგონია, რომ აქ იყო ამონაწერში შეცდომები, მაგალითად, 2-იანის მაგივრად 8-იანი ან 3-იანის ნაცვლად 9-იანი და ასე შემდეგ“, – განმარტა სალომე ვარდიაშვილმა.

ის შორს არის იმ აზრისგან, რომ ეს ყველაფერი კომპანიის მხრიდან სპეციალურად განხორციელდა. უბრალოდ, ადამიანური რესურსი სწორად არ იყო გათვლილი და თანამშრომლებმა დაუშვეს შეცდომები, რაც სტრესულ გარემოში მუშაობისგან იყო გამოწვეული.

– უკვე შეიქმნა კომისია, რათა საბოლოოდ გამოირიცხოს ამგვარი პრობლემები და მოხდეს მათი პრევენცია, ხოლო იმას, რაც მოხდა, ეშველება. უკვე დაწყებულია თანხების კორექტირება და ყველა მომხმარებელს, რომელმაც ზედმეტად ერთი თეთრიც კი გადაიხადა, უკან დაუბრუნდება და აისახება მათ ბალანსზე, – განაცხადა ენერგოომბუდსმენმა.

ცნობისთვის, ელექტროენერგიის გადახდის ვადების ცვლილებასთან დაკავშირებით დეკემბერში მომხმარებელმა „თელმიკოს“ ორი ქვითარი მიიღო, რასაც გაურკვევლობა მოჰყვა. კომპანიამ ქვითრებთან დაკავშირებით განმარტება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ორი ქვითარი დეკემბრის სრულ გადასახადს ასახავდა.

კახეთში ცოლ-ქმრის მკვლელობისთვის ძებნილი პირი ბათუმში დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კახეთში ცოლ-ქმრის მკვლელობის ბრალდებით ძებნილი პირი ბათუმში დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ორი პირის განზრახ მკვლელობის და არასრულწლოვანის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით 1987 წელს დაბადებული გ.გ. ბათუმში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულ მამაკაცს მიმდინარე წლის 10 თებერვალს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ფერმაში ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ამავე ფერმაში დასაქმებულ ცოლ-ქმართან – გ.ჯ.-სა და მ.ზ.-სთან. გ.გ. მათ ფულს სთხოვდა, უარის მიღების შემდეგ კი ორივე სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა.

ბრალდებულმა მოკლულების არასრულწლოვან შვილს უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, თოკით დააბა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გ.გ. დაიკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 143-ე მუხლებით გრძელდება“, – ნათქვამია შსს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„საფრანგეთის მოქალაქეებს საქართველოში 159.905 ევრო მოტყუებით ჩაარიცხვინეს“

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ საფრანგეთის მოქალაქეების დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ბრალდებულები დამნაშავედ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და საფრანგეთის მოქალაქეების საქმეზე ორი ფიზიკური პირი და ერთი იურიდიული პირი დამნაშავედ ცნო.

„სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ არარეზიდენტი ფიზიკური პირების ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, მ.კ.-მ საქართველოში დააფუძნა უცხოური საწარმოს მსგავსი დასახელების იურიდიული პირი, რომლის სახელზეც საბანკო ანგარიშები გახსნა საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში.

მ.კ.-მ და დ.კ.-მ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად, საფრანგეთის ოთხი მოქალაქე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით დაარწმუნეს კრიპტოვალუტით ვაჭრობის სფეროში მომგებიანი ინვესტიციების განხორციელებაში, რის შედეგადაც 2018 წლის 21 მარტიდან 2018 წლის 27 აპრილამდე, საფრანგეთის მოქალაქეებს ჯამში 159.905 ევრო (476.281 ლარი) მოტყუებით ჩაარიცხვინეს მ.კ.-ს მიერ დაფუძნებული საწარმოს ანგარიშზე, რომელსაც მ.კ. და დ.კ. მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ. შემდგომში კი აღნიშნული თანხა დ.კ.-მ პირადი საბანკო ანგარიშიდან სწრაფი ფულადი გზავნილების სახით ისრაელში ოჯახის წევრების სახელზე გადარიცხა. აღნიშნული ქმედებებით, მ.კ.-მ და დ.კ.-მ ჯამში 73.995 ევროსა და 13.100 აშშ დოლარის (253.055 ლარი) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.

სასამართლომ მ.კ. და დ.კ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მათვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრათ ჯარიმა თითოეულს 20.000 ლარის ოდენობით.

ამავე განაჩენით, იურიდიული პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რომელსაც 3 წლით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება და დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 100.000 ლარის ოდენობით“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„უცბად წყალმა გაჭედა“

ფოთში კორპუსის მილში გარდაცვლილი ახალშობილი იპოვეს

ფოთში, ახალ რაიონში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო სისტემის მილში 14 თებერვალს გარდაცვლილი ახალშობილი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, იქ მცხოვრებმა ქალმა ბინაში იმშობიარა.

როგორ აღმოჩნდა ახალშობილი საკანალიზაციო მილში, ჯერჯერობით უცნობია.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები.

– კანალიზაციის მილმა წყალი არ გაატარა, მოიყვანეს სპეციალისტი და გაწმენდის დროს ახალშობილი იპოვეს. ვინ ჩაიდინა ან ვინ შეიძლება იყოს მეზობელი, არ ვიცით. ამბობენ, სამი დღის წინ მოხდაო და სხვა არაფერი ვიცი, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

ახალშობილის დედა სამართალდამცავებს უკვე იდენტიფიცირებული ჰყავთ.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილი ბავშვის დედა დააკავეს.

ქუთაისში ქალს მოქალაქის კუთვნილი 50.000 ლარის მითვისებას ედავებიან

პოლიციამ ქუთაისში თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით თაღლითობის ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული დ.ს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქუთაისში დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალი, სხვადასხვა დროს, რამდენიმე მოქალაქის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – ჯამში დაახლოებით 50.000 ლარს – თაღლითურად დაეუფლა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დიდი ოდენობით თაღლითობას გულისხმობს“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

დიღომში კორპუსში მე-7 სართული აფეთქდა

გუშინ, 15 თებერვალს, დიღმის მასივში საცხოვრებელი კორპუსის მე-7 სართულზე აფეთქება მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, დაშავებულია ერთი ადამიანი.

მისი მდგომარეობა მძიმე არ არის.

აფეთქება, სავარაუდოდ, დაგროვილმა აირმა გამოიწვია.

ცეცხლის ლოკალიზების შემდეგ სახანძრო-სამაშველო ბრიგადები ადგილზე კიდევ გარკვეულ ხანს დარჩნენ.

„რაღაცით გააღო ფანჯარა“

თსსუ-ის კლინიკიდან პაციენტი გადახტა

თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკის მე-5 სართულიდან 65 წლის კოვიდპაციენტი გადახტა. პირველი საუნივერსიტეტო საავადმყოფოს კლინიკური დირექტორის, ლალი ტურძელაძის ინფორმაციით, კლინიკაში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

– რაღაცით გააღო ფანჯარა და გადახტა. პალატაში ორნი იყვნენ. ერთი გაეწერა, ეს დარჩენილი იყო, – აღნიშნა ტურძელაძემ „ტვ პირველთან“.

მისივე ინფორმაციით, პაციენტი კლინიკას 15 თებერვალს დატოვებდა. ამასთან, როგორც ის აღნიშნავს, პაციენტს „კარგი ანალიზები ჰქონდა და მდგომარეობიდან გამოსული იყო“.

– ვუთხარით, რომ ხვალ უნდა გაგვეწერა რა კარგია, წავალ სახლშიო, – თქვა ლალი ტურძელაძემ.

მისი თქმით, პაციენტს ფსიქიკური პრობლემები არ ჰქონია.

– გადავწყვიტეთ, ხვალ გაგვეწერა პაციენტი და მასაც ვუთხარით, რომ ხვალ გავწერდით. ძალიან გაუხარდა და ასე გამოხატა ემოცია, რა კარგია, წავალ სახლშიო. შევიდა ექთანი, დაალაგა პალატა ახალი პაციენტისთვის, გამოვიდა და ორი წუთის გამოსული იყო, პაციენტი გადახტა ფანჯრიდან. ანამნეზში არავითარი ფსიქიკური პრობლემები არ ჰქონია, – განაცხადა ტურძელაძემ.

რუსული ჯარები ზოგიერთი ადგილიდან მუდმივი დისლოკაციის ადგილებზე ბრუნდებიან

დასავლეთ და სამხრეთ სამხედრო ოლქების ქვედანაყოფები საკუთარ ბაზებზე დაბრუნებას იწყებენ.

რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა იგორ კონაშენკოვმა განაცხადა.



– სამხრეთის და დასავლეთის სამხედრო ოლქების ქვედანაყოფებმა დავალებების შესრულების შემდეგ უკვე დაიწყეს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტში განთავსება და ისინი დაიწყებენ გადაადგილებას საკუთარი სამხედრო ნაწილებისკენ, – განაცხადა კონაშენკოვმა.

ამასთან, მისი თქმით, რუსი სამხედროები აგრძელებენ წვრთნებს რიგ რაიონებში.

– რუსეთის შეიარაღებული ძალები აგრძელებენ ფართომასშტაბიანი წვრთნების სერიას ჯარისკაცებისა და ძალების ოპერატიული მომზადებისთვის. პრაქტიკულად ყველა სამხედრო ოლქი, ფლოტი და საჰაერო სადესანტო ჯარები ჩართულია, – განაცხადა კონაშენკოვმა.

ზელენსკიმ უკრაინელ ხალხს მიმართა

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ უკრაინელ ხალხს მიმართა.

მან განაცხადა, რომ უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა მიმდინარეობს. პირდაპირი სამხედრო ზეწოლის პარალელურად ხორციელდება შანტაჟი ენერგორესურსების მიწოდების შეწყვეტის მუქარით.

მეტიც, ზოგიერთი მეზობელი ქვეყანა მზადაა, უკრაინის განუყოფელი ნაწილის „დამოუკიდებლობაც“ აღიაროს.

– ჩვენ ასეთ თავხედურ დიქტატს არ დავემორჩილებით! უკრაინა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე წინა წლებში იყო! ჩვენც ვიბრძოლებთ, – თქვა ზელენსკიმ.

კანადა უკრაინას 500 მილიონის სესხს გამოუყოფს

კანადის ხელისუფლება უკრაინას 500 მილიონი კანადური დოლარის სესხს გამოუყოფს. ამასთან, კანადა უკრაინას 7.8 მილიონი დოლარის ლეტალურ იარაღსა და საბრძოლო მასალას მიაწვდის.

კანადის პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრიუდოს თქმით, აღნიშნული დახმარების მიზანი უკრაინის რუსული აგრესიისგან დაცვაა.

– კანადისა და ჩვენი სხვა პარტნიორების ამ მხარდაჭერის მიზანია, დაიცვას უკრაინა რუსეთის აგრესიისგან, – განუცხადა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მყვინთავმა შემთხვევით უძველესი ჩაძირული ქალაქი აღმოაჩინა

ეგეოსის ზღვაში მყვინთავმა შემთხვევით აღმოაჩინა უძველესი დასახლების ნანგრევები, როდესაც ქალაქ დიკილის სანაპიროსთან ყვინთვით იყო დაკავებული.



39 წლის ინჟინერი დენემ ორხუნი შვებულების დროს სპეციალური მოწყობილობით ყვინთავდა და მოულოდნელად წყლის ქვეშ მრგვალი ბოძები შენიშნა. აღმოჩენილის ფოტოსურათები არქეოლოგებმა ნახეს, რომლებიც ანტიკური ქალაქის პერგამის გათხრებზე მუშაობდნენ.

აღმოჩნდა, რომ ინჟინერმა ძველი ქალაქის ატარნეის ნავსაყუდელის ნაწილს მიაგნო. ადგილი, სადაც ის არის განთავსებული, დაცულ ზონად გამოცხადდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ის მნიშვნელოვან არქიტექტურულ აღმოჩენად გამოაცხადა. ატარნეის განვითარების ხანას ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნე წარმოადგენდა, როდესაც ქალაქს არისტოტელეს მეგობარი გემპია მართავდა. სავარაუდოდ, მოსახლეობამ ქალაქი ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში უცნობი ეპიდემიის აფეთქების გამო დატოვა.

ძაღლმა 81 წლის ინვალიდი პატრონი გადაარჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პორტ-სენტ-ლუისის მკვიდრი 81 წლის ჰარი სმიტი ძაღლთან ერთად სეირნობის დროს კინაღამ დაიხრჩო. ძაღლმა ყეფა ატეხა და გამვლელთა ყურადღება მიიპყრო, რომლებმაც მამაკაცი გადაარჩინეს.

პარასკევს სმიტი ძაღლს, სახელად სარას, ასეირნებდა. მოულოდნელად მისი ინვალიდის ეტლმა მიწის ზედაპირთან მოჭიდება დაკარგა და წყალში ჩაგორდა. ხანდაზმული მამაკაცი, რომელმაც ცურვა არ იცოდა, წყალში ფართხალებდა და სასოწარკვეთილი უხმობდა მშველელს. ამ დროს მთელი ხმით აყეფდა სარა.

ძაღლის ყეფის ხმა ორმა გამვლელმა გაიგონა და შენიშნეს ინვალიდი, რომელიც წყალში იხრჩობოდა. სანამ ერთ-ერთი მამაკაცისკენ საშველად გარბოდა, მეორემ მოასწრო, საშველად ეხმო პოლიციის თანამშრომელ ადამ დოტისთვის.

– ორივენი მისკენ გავიქეცით. მე წყალში გადავხტი, ჩემმა ახლობელმა მას ხელები ხელებში ჩაავლო, მე – ფეხებში და ნაპირზე ამოვიყვანეთ, – აღწერა მომხდარი მეორე გამვლელმა.

ხანდაზმულ მამაკაცს ადგილზევე აღმოუჩინეს საჭირო სამედიცინო დახმარება, შემდეგ კი დოტიმ და სენტ-ლუისის ოლქის სახანძრო სამსახურის თანამშრომელმა ინვალიდი მამაკაცი სახლში მიიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ერთგული ძაღლი მთელი ამ დროის განმავლობაში პატრონს გვერდიდან არ მოსცილებია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ფეხბურთის ფედერაცია და უეფა თანამშრომლობენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობას აგრძელებს. 4-წლიანი განვითარების გეგმის შემუშავება უეფას ექსპერტების დახმარებით მიმდინარეობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით უეფა გროუს წარმომადგენლები იმყოფებიან.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს მხრიდან კი – დანიელ ფლეჩერი, უეფა გროუს მენტორი; ოლექს კუჩერევი, სტრატეგიული განვითარების ექსპერტი; ლეს ჰაუვი, უეფას მასობრივი ფეხბურთის განვითარების მენტორი; შეინ ჯონსი, უეფას სტრატეგიული ექსპერტი.

ვიზიტის ფარგლებში საუბარი შეეხო ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორებიცაა მასობრივი ფეხბურთი, ბავშვთა ფეხბურთი, საფეხბურთო

ინფრასტრუქტურა და განათლება, ეროვნული ჩემპიონატის ხელშეწყობა, ბრენდის იდენტობა და სხვა. სემინარის ფარგლებში, მონაწილეებს ონლაინკონფერენციის საშუალებით მასობრივი ფეხბურთის მიმართულებით საკუთარი გამოცდილება გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა გაუზიარეს.

დანიელ ფლეჩერი:

– ჩართულები ვართ სამუშაო პროცესში, რათა გავიგოთ, თუ რა არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციისთვის, არამედ ქართული ფეხბურთისთვის. განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში ვისახავთ მიზნებს, სადაც ყველაზე მეტი შესაძლებლობა გვექნება და სადაც ყველაზე დიდი მხარდაჭერის გამოხატვა შეგვიძლია.

ვფიქრობ, აქ ფანტასტიკურ ადამიანებთან ვთანამშრომლობთ. ისინი დიდი ხანია ფეხბურთში მუშაობენ და ეს სფერო ძალიან კარგად იციან. ასე რომ, დიდ საფეხბურთო მემკვიდრეობას, საქართველოში ფეხბურთის სიყვარულს და, ამ ადამიანების უნარებსა და გამოცდილებას თუ გავაერთიანებთ, ვფიქრობ, უეფას მხარდაჭერასთან ერთად შევძლებთ წარმატების მიღწევას.

ოლექს კუჩერევი:

– თანამშრომლობა ფანტასტიკურია, რადგან ყოველდღიურ შეხვედრებში ვხედავთ ტოპ მენეჯმენტის აქტიურ ჩართულობას. უკვე მეორე სამუშაო შეხვედრას ვმართავთ თბილისში, სადაც კონტექსტუალური ანალიზი გავაკეთეთ. გვაქვს იმ ძირითადი მიმართულებების პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სურს ქართული ფეხბურთის განვითარება.

გვქონდა შესანიშნავი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. პოზიტიური იყო იმის ხილვა, თუ როგორ ჩართო ფედერაციამ ყველა დაინტერესებული მხარე – სპონსორები, პარტნიორები, სამთავრობო ინსტიტუტები. ასე რომ, სწორ გზაზე ვართ. გვაქვს შესანიშნავი ჩართულობა ფეხბურთის ფედერაციის სტაფის მხრიდან, მაგიდაზე გვაქვს ძალიან დიდი ოდენობის ინფორმაცია. ახლა მთავარი საკითხია პრიორიტეტების განსაზღვრა და უახლოესი მომავლისთვის ძირითადი მიმართულებების დადგენა.

სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს და რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდება. პროცესში ჩართულები იქნებიან როგორც უეფას ექსპერტები, ისე სფფ-ის პარტნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნულ გეგმაზე მუშაობა 2021 წლის დეკემბერში დაიწყო.

პირველი სტრატეგიული გეგმა კი, უეფას ხელშეწყობით, 2016 წელს ჩამოყალიბდა. 2019 წელს კი ფეხბურთის ფედერაციამ საზოგადოებას ახალი ხედვა „მომავლის 11“ წარუდგინა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

14 თებერვალი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი 0:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

მალიორკა-ბილბაო 3:2

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	24	16	6	2	48-20	54
2.სევილია	24	14	8	2	36-16	50
3.ბეტისი	24	13	4	7	45-29	43
4.ბარსელონა	23	10	9	4	38-27	39
5.ატლეტიკო	23	11	6	6	42-33	39
6.სოსიედადი	23	10	8	5	24-21	38
7.ვილარეალი	24	9	9	6	38-23	36
8.ბილბაო	24	8	10	6	25-21	34
9.ოსასუნა	24	8	8	8	25-27	32
10.სელტა	24	8	7	9	28-25	31
11.რაიო	23	9	4	10	27-27	31
12.ვალენსია	24	7	9	8	36-38	30
13.ესპანიოლი	24	7	7	10	29-34	28
14.ელჩე	24	6	8	10	26-33	26
15.მალიორკა	23	6	8	9	22-36	26
16.ხეტაფე	24	6	7	11	23-27	25
17.გრანადა	24	5	9	10	26-36	24
18.ალავესი	24	5	5	14	19-39	20
19.კადისი	24	3	10	11	20-38	19
20.ლევანტე	23	1	8	14	23-50	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

პონფერადინა-სოსიედადი 3:2

იტალია.სერია ა

სპეცია-ფიორენტინა 1:2

სატუნირო ცხრილი:

1.მილანი	25	17	4	4	50-26	55
2.ინტერი	24	16	6	2	55-20	54
3.ნაპოლი	25	16	5	4	46-17	53
4.იუვენტუსი	25	13	7	5	37-22	46
5.ატალანტა	24	12	8	4	46-29	44
6.ლაციო	25	12	6	7	52-39	42
7.რომა	25	12	4	9	42-32	40
8.ფიორენტინა	24	12	3	9	43-34	39
9.ვერონა	25	10	6	9	47-40	36
10.ტორინო	24	9	5	10	31-25	32
11.ემპოლი	25	8	7	10	38-48	31
12.სასუოლო	25	7	9	9	41-44	30
13.ბოლონია	24	8	4	12	29-40	28
14.სპეცია	25	7	5	13	27-46	26
15.უდინეზე	23	5	9	9	30-40	24
16.სამპდორია	25	6	5	14	33-42	23
17.კალიარი	25	4	9	12	25-46	21
18.ვენეცია	24	5	6	13	22-43	21
19.ჯენოა	25	1	12	12	21-46	15
20.სალერნიტანა	23	3	4	16	17-53	12

საფრანგეთი. ლიგა 2

ლეავრი-ბასტია 2:4

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

აროუკა-მარიტიმუ 0:3

თურქეთი. სუპერლიგა

ადანა-ბეშიქთაში 1:1

ჰატაი-გიოზთეფე 2:1 (2:0)

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-არისი 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

გურნიკი-იაგელონია 1:2

მხატვარი გივი თოიძე გარდაიცვალა

89 წლის ასაკში ცნობილი ქართველი მხატვარი გივი თოიძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია სამხატვრო აკადემიამ გაავრცელა:

– ცნობილმა ქართველმა მხატვარმა, პროფესორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ, წლების განმავლობაში სტუდენტების თაობები გაზარდა.

იგი იყო ბრწყინვალე პედაგოგი, არა მხოლოდ ცნობილი მხატვარი, არამედ ქალაქის კოლორიტი, საზოგადოებისთვის საყვარელი ადამიანი. მისი ნამუშევრები გამორჩეულია ფერმწერისთვის დამახასიათებელი ხელწერით. გახლავთ არაერთი მონუმენტური ტილოსა და საინტერესო სერიის ავტორი.

გივი თოიძის ნამუშევრები დაცულია ცნობილ მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში როგორც საქართველოში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „ზამთარი“, სერია მოგზაურობის თემებზე – „მეთევზეები“, „ხევსურეთი“, „მთათუშეთი“, ქალაქური პეიზაჟები – „ძველი თბილისი“ და „ნარიყალა“.

მხატვრის ნახატები ინახება ჯორჯ ბუშის, ჟაკ შირაკისა და სხვა ცნობილ ადამიანთა კერძო კოლექციებში.

გივი თოიძის მრავალწლიანი ღვაწლი ღირსების ორდენით აღინიშნა. მას ერთ-ერთ პირველს მხატვართა შორის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. იგი სრულიად დამსახურებულად ატარებდა საქართველოს სახალხო მხატვრისა და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ამერიკული მედია: „ცვლილებები ბითაძეს არ წაადგა“

მას შემდეგ, რაც ინდიანა პეისერსიდან დომანტას საბონისი წავიდა, დიდი იმედი გვქონდა, რომ ქართველ კალათბურთელ გოგა ბითაძეს სათამაშო დრო უფრო გაეზრდებოდა. თუმცა, ასე არ არის და ჩვენებურზე არც ამერიკული მედია წერს დამაკმაყოფილებლად.

ამერიკელები წერენ, რომ რეალობიდან გამომდინარე არსებობს შანსი, ქართველმა ცენტრმა კიდევ უფრო მცირე სათამაშო დრო მიიღოს.

აი, რას წერენ ამერიკელები:

– ხმაურიანი გაცვლების დასრულების შემდეგ ინდიანა პეისერსის მიზანი ყველასთვის ნათელი გახდა. ეს ახალგაზრდა ტალანტების განვითარებაა. გუნდმა ახალი შემადგენლობით ჩატარებული პირველი მატჩები წააგო, მაგრამ დადებითი მხარეებიც გამოჩნდა. თუმცა, ეს ნაკლებად ეხება გოგა ბითაძეს, რომელიც ბოლო 2 მატჩში დამაჯერებლად ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

მაილს ტერნერის დაბრუნებამდე ინდიანას თავკაცმა რიკ კარლაილმა სასტარტო ცენტრის პოზიციაზე ბითაძეს დაყენება გადაწყვიტა, რომელიც ამ ამპლუას უკვე დიდი ხანია უტრიალებს. სამწუხაროდ, გუნდის ახალწვეულების ფონზე, გოგას თამაში იმედისმომცემი ნამდვილად არ ყოფილა. კლივლენდთან მატჩში ადრეული ფოლები აკრიფა, ჯარეტ ალენთან დუელშიც აშკარად დაიჩაგრა და საბოლოოდ, მოედანზე მხოლოდ 10 წუთი გაატარა. მინესოტასთან ბითაძე მცირედით უკეთესი იყო, მაგრამ სამწვრთნელო შტაბმა ქართველს ჯალენ სმიტი ამჯობინა, რომელმაც პეისერსის მაისურით სადებიუტო თამაშები მოულოდნელად კარგად ჩაატარა.

გოგას პლუსებზე მხოლოდ ქულების მიხედვით მსჯელობა, ცალსახად არასწორია, მაგრამ ბითაძის ტემპი განახლებული ინდიანასთვის ნაკლებად მისაღებია. მიმდინარე სეზონში პეისერსი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ნელი გუნდი იყო. თუმცა, საბონისის წასვლისა და ტაირის ჰალიბერტონის მისვლის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ეს კი გოგას მდგომარეობას კიდევ უფრო მძიმეს ხდის. აიზია ჯეკსონი სანამ ტრავმას მიიღებდა, სწორედაც რომ იდეალურ პარტნიორად ჩანდა ჰალიბერტონისთვის, რომ პიკ-ენდ-როლისას ფარქვეშ სწრაფად ემოქმედა. ფინიქსიდან მოსულმა სმიტმაც დამაჯერებელი თამაშით ბევრი გააოცა და ცხადია, არც ტერნერი უნდა დავივიწყოთ, რომელიც ფაქტობრივად ყველა ასპექტში ბითაძეზე წინ იდგა.

აქამდე, გოგას აღმავლობა თუ დაცემა მეტწილად მისთვის გამოყოფილი მცირე სათამაშო დროით აიხსნებოდა, როდესაც თავისი შესაძლებლობების სრულად ჩვენების საშუალება არ ეძლეოდა. ახალ რეალობაში მისი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება. თუკი გოგამ მოედანზე თავისი ადგილის პოვნა ვერ მოახერხა, შესაძლოა, პეისერსისთვის ზედმეტ კალათბურთელად იქცეს.

გეტყვით, რომ საბონისის წასვლის შემდეგ ბითაძემ 3 მატჩი სასტარტო ხუთეულში ჩაატარა. ატლანტასთან 14 ქულა ჩააგდო, კლივლენდთან უქულოდ დარჩა, მინესოტასთან კი 7 ქულა მიითვალა.

იასენ პეტროვი: „მთავარი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაა“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგაზე ჯგუფში ბულგარეთთან, ჩრდილოეთ მაკედონიასთან და გიბრალტართან ერთად მოხვდა. თუ რამეზე პრეტენზიას ვაცხადებთ, ამ ჯგუფის მოგება ვალდებულებაც კი არის. თუმცა, ეს რომ ურთულესი საქმე იქნება, არც ვდავობთ.

პარალელურად, თვალს მეტოქე გუნდებსაც ვადევნებთ. ბულგარულ მედიაში ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ იასენ პეტროვთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

– კორონავირუსის გადატანის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?

– გმადლობთ, უკვე კარგად! ოჯახთან ერთად პლოვდივში ვარ. მუშაობა დავიწყე და სპორტულ თემებზე ვარ კონცენტრირებული. ამიტომ, შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ კარგად ვარ.

– თქვენს თანაშემწეებთან ერთად იყავით თურქეთში, სადაც თვალი ადევნეთ ბულგარული კლუბების სამზადისს. რამდენად კმაყოფილი დარჩით ნანახით?

– რაც ვნახეთ, კმაყოფილი ვართ. იმ ფეხბურთელებმა, რომელთაც ჩვენ ვეყრდნობით, აჩვენეს, რომ კარგ ფორმაში არიან. ასევე გამოჩნდნენ ახალი ფეხბურთელები, რომლებმაც დაგვანახეს, რომ აქვთ სანაკრებო პოტენციალი. ყველაფერი დაზუსტებით მაშინ გაირკვევა, როცა სეზონი განახლდება.

– თურქეთში თვალს ვარჯიშებსაც ადევნებდით თუ მხოლოდ საკონტროლო შეხვედრებს?

– არა, ჩვენ მხოლოდ საკონტროლო მატჩები ვნახეთ. საკმაოდ კარგია იმ ფეხბურთელების მდგომარეობა, რომლებიც საქმეში ვნახეთ და ეს გვახარებს.

– გუნდების მწვრთნელებს თუ ესაუბრეთ?

– სადაც ამის საშუალება იყო, ვისაუბრეთ და არაერთი საკითხიც განვიხილეთ. ჩვენ ყოველთვის ღია ვართ კონტაქტისთვის.

– უცხოეთში მოთამაშე ბულგარელ ფეხბურთელებს თუ ადევნებთ თვალს?

– ვფიქრობ, საზღვარგარეთ გამგზავრების აუცილებლობა არ არის. ჩვენ თანამედროვე სამყაროში ვცხოვრობთ და გვაქვს ყველა საშუალება იმისთვის, რომ ლეგიონერების თამაში სხვა ქვეყანაში ჩასვლის გარეშეც ვნახოთ. ასევე ბევრი საინტერესო მატჩია შიდა ჩემპიონატში და არაფერი არ უნდა გამოგვრჩეს.

– მოსალოდნელია თუ არა ცვლილებები ბულგარეთის ნაკრების შემადგენლობაში?

– განსაკუთრებული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ჩვენი წამყვანი კლუბები, ცსკა და ლუდოგორეცი, პრაქტიკულად 3 დღეში ერთხელ თამაშობენ და როტაცია აუცილებლად მოგვიწევს.

ჩვენ შევქმენით ბირთვი, ბოლო ერთ წელიწადში 13 თამაში ჩავატარეთ და ეს საკმაოდ ბევრია. ზედიზედ გვიწევს თამაშები ერთა ლიგაზე და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ვინმე გაგვაოცებს თავისი თამაშით და დაიმსახურებს ყურადღებას, ნაკრების კარი ყველასთვის ღია იქნება.

– რას იტყვით ყატარსა და ხორვატიასთან გასამართ ამხანაგურ მატჩებზე?

– ყატარი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია და ჰყავს ძლიერი შემადგენლობა. მათ ძალიან სურდათ ჩვენთან თამაში. რაც შეეხება ხორვატიასთან სპარინგს, რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, რომ ეთამაშო მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორს? ზოგადად, ძლიერ ნაკრებებთან თამაშს არაფერი სჯობია. ეს არის კარგი გამოცდა!

– ახლახან ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი გაგიხანგრძლივათ.

– ცოტა უკან დავბრუნდები. გასულ წელს 5 საშინაო მატჩი ვითამაშეთ, მათ შორის, ერთა ლიგაზე ჩვენს მომავალ მეტოქე საქართველოსთან. 3 მოგება, ვფიქრობ, ცუდი შედეგი არ არის. რაც შეეხება გასვლით მატჩებს, იყო 8 თამაში. ჩემი 2 იმედგაცრუება არის ლიეტუვაში ჩატარებული მატჩი და მეორე ტაიმი შვეიცარიასთან.

ჩვენ ახლა გვაქვს კონკრეტული მიზანი და ეს მიზანი არის ერთა ლიგის ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება. რაც შეეხება ზოგადად შედეგს, ვფიქრობ, არ არის ურიგო შედეგი, მაგრამ ბულგარეთში ჩვენ ხომ ყველა მსოფლიოს ჩემპიონები ვართ! ერთა ლიგაზე ჯგუფის მოგება უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენ უნდა გავახაროთ ბულგარელი ხალხი!

შავი ლომი და ენისეი სოჭში ითამაშებენ

ქართული სარაგბო ფრენჩაიზი შავი ლომი 2021-22 წლების რაგბი ევროპის სუპერ თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო, გადადებულ შეხვედრას 6 მარტს, სოჭში გამართავს.

ქართველთა მეტოქე რუსეთის ბოლო 5 წლის უცვლელი ჩემპიონი კრასნოიარსკის ენისეი იქნება. მატჩი სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე 17 საათზე დაიწყება.

ეს თამაში სოჭში 30 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ პანდემიის გამო, რუსეთმა მაშინ საზღვრები ჩაკეტა და შავი ლომი დანიშნულების ადგილზე ვერ ჩავიდა.

5-5 თამაშის შემდეგ სუპერ თასის ნახევარფინალში ორივე გუნდი გასულია, მაგრამ გადაწყვეტილი არ არის, ვინ დაიკავებს აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილს და, შესაბამისად, ვინ ისარგებლებს ნახევარფინალში მასპინძლის სტატუსით.

შავმა ლომმა რუსეთის ჩემპიონი ავჭალაში 27:20 დაამარცხა, ჯამში 20 საცხრილო ქულა აქვს და პირველ ადგილზეა. ქართულ გუნდს ენისეი 4 ქულით ჩამორჩება. შეგახსენებთ, რაგბი ევროპის სუპერ თასის აღმოსავლეთ კონფერენციის პირველადგილოსანი ესპანურ იბერიანზს უმასპინძლებს, მეორეადგილოსანი კი ლუზიტანუშს პორტუგალიაში ეწვევა.

ნახევარფინალური შეხვედრები 16 აპრილსაა ჩანიშნული. ფინალი 8 მაისს გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

ვიზიარებთ და თანავუგრძნობთ მწუხარებაში მეუღლეს, უსაყვარლეს ქალბატონს ლიკა გოგიჩაიშვილს, შვილებს ნინოსა და ვანიკოს, რძალს სოფოს, შვილიშვილებს ბარბარესა და კატუნას კეთილშობილი, ჰუმანური, გულისხმიერი ბატონის

მალხაზ (მახო) ქიტესაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნათელში ამყოფოს უფალმა!

ახლობელი კუსუნა მზარელუა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 2. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილო ნაწილში; 3. ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო საფრანგეთში. 5. დაკოდილი მამალი ცხვარი; 6. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 7. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მდინარე სვანეთში; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 14. ხის ზედა, განტოტვილი ნაწილი; 15. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 16. რომისა და არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. თურქი ჯარისკაცი; 19. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 20. კათოლიკური მღვდელმსახურება.

თარაზულად: 1. დარბაზის ფეხბურთი; 4. მონასტერი საჩხერის რაიონში; 8. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 9. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის კორპუსის ნაწილი; 10. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 12. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. გემის მზარეული; 15. კორიდის მთავარი მონაწილე; 16. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 18. კუთხე საქართველოში; 21. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 22. სითხის, აირის, წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 23. ინდმეწარმე სოფლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოფეინი; 2. ბეშიქთაში; 3. სპანიელი; 4. შეპადი; 5. მოპედი; 9. მაჩეტე; 11. ბიონიკა; 12. ღამურა; 14. ბასკეთი; 18. ეკერი; 19. ჰერცი.

თარაზულად: 4. შამონი; 5. მეცენატი; 6. აპოლო; 7. სპაგეტი; 8. აიაზმა; 10. უნაბი; 13. ნაბადი; 15. თარჩია; 16. ლენა; 17. ტირე; 20. კაბელი; 21. მადონა; 22. ბურნუთი; 23. ცაგერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კელარი; 2. მდადი; 3. ფაშა; 5. დასინი; 6. კეინი; 7. ახაშენი; 11. რანტიე; 13. ფაიზერი; 14. კროლი; 15. მეჯლისი; 16. ბექაური; 17. ბაგები; 19. აპაში; 20. ფითი.

თარაზულად: 1. კომილფო; 4. ყბედი; 8. შახტი; 9. სოჭი; 10. ანდორა; 12. იშტვანი; 14. კიტო; 15. მინისტრი; 16. ბროსე; 18. სელტა; 21. გონიო; 22. რუსთავი; 23. შაბლონი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0276

ევრო — 3.4348

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1030

100 რუსული რუბლი — 3.9970

ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისათვის



რანგნიკი რონალდუსთან კონფლიქტს უარყოფს

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი რალფ რანგნიკი კრიშტიანო რონალდუსთან კონფლიქტს უარყოფს და ამბობს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჭორებია, რომლებსაც არავინ არ უნდა დაუჯეროს:

– რონალდუსთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს და არ ვიცი, ვინ იგონებს ამ ჭორებს, თუმცა ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მინდა, მუშაობა გავაგრძელო და მანჩესტერს წარმატება მოვუტანო.

კლოპი: „ინტერი სერიოზული მეტოქეა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ინტერთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ინტერი სერიოზული მეტოქეა და ლივერპულს მობილიზება დასჭირდება იმისთვის, რომ მილანელების ბარიერი დაძლიოს:

– ვიცი, რომ ძლიერი გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში და ეს ფეხბურთელებმაც კარგად იციან. შევეცდებით, გულშემატკივარს იმედი არ გავუცრუოთ.

სლუცკიმ ხვიჩა კვარაცხელიას ტრავმაზე ისაუბრა

ხვიჩა კვარაცხელიამ ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის დროს ტრავმა მიიღო და მისი მდგომარეობის შესახებ რუბინის მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ სლუცკიმ ისაუბრა, რომელმაც თქვა, რომ კვარაცხელიას ტრავმა სერიოზული არ არის:

– ხვიჩამ მცირე ტრავმა მიიღო. ის რამდენიმე მატჩი დაისვენებს და, შესაძლოა, ეს მისთვის კარგიც იყოს. ყველას იმედი გვაქვს, კვარაცხელიას მოედანზე მალე ვიხილავთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– აქამდე ყოველ დილით ერთ ჭიქა წყალს ვსვამდი, დღეს კი შემეშალა და არაყი დავლიე...

– მერე?

– ასეთი შესანიშნავი დილა არასოდეს მქონია!

●●●

დირექტორი მდივანს ეკითხება:

– კვირა საღამოს რას აკეთებ?

– არაფერს, – კეკლუცად პასუხობს მდივანი.

– ჰოდა, ძალიან კარგი, ადრე დაიძინე და ორშაბათს სამსახურში არ დააგვიანო!

●●●

პარლამენტარი მანქანით ორ კაცს დაეჯახა. სასამართლოზე დაგვიანებით მისული პარლამენტარი მოსამართლეს ეკითხება:

– აბა რა ხდება?

– რა ხდება და ერთს, რომელმაც თავით საქარე მინა გაგიტეხათ, 8 წელს მივუსჯით ტერორისტული აქტისთვის და ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმისთვის საკუთრების ხელყოფით.

– კარგით! და მეორეს?

– მეორეს, რომელიც ბუჩქებში გადავარდა, 12 წელს მივუსჯით.

– პირველზე მეტს?

– კი, დანაშაულის ადგილიდან გაქცევის მცდელობისთვის.

●●●

ავტოავარიის შედეგად დეპუტატებით სავსე ავტობუსი გზიდან გადავიდა და გადაბრუნდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა აღმოაჩინეს, რომ ადგილობრივებს ყველა დეპუტატი უკვე დაესაფლავებინათ. ერთ-ერთს მაშველი ეკითხება:

– კი მაგრამ, ყველა მკვდარი იყო?

– კი. მართალია, ცდილობდნენ, დავერწმუნებინეთ, რომ ცოცხლები იყვნენ, მაგრამ, თავადაც ხომ იცით, რომ ისინი მუდმივად იტყუებიან.

ეკა ჩხეიძე: „ძალიან გულნატკენი ვარ“

მსახიობი ეკა ჩხეიძე, რომელსაც ტელეკომპანია „ფორმულაზე“ გადაცემა „ყვითელი ყუთი“ მიჰყავდა, გაანაწყენეს:

– ძალიან გულნატკენი ვარ, გულაცრუებულიც და მინდა გაგიზიაროთ.

თქვენი აზრით, თუ ნაცი არ ვარ, ქოცი ვარ, ან თუ ქოცი არ ვარ, აუცილებლად ნაცებს ვეთაყვანები? არ შეიძლება, ჩემი საქმე ვაკეთო ისე, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნოდე?

ერთმა საკმაოდ გავლენიანმა პიროვნებამ მითხრა: „ფორმულას“ გამო მაგარ შარში ხარო!

მინდა, ამ ადამიანს ვუპასუხო:

1. მე ვარ მსახიობი და საარსებოდ მჭირდება შემოსავალი. თეატრის ხელფასზე 1 თვეც არ გამყოფოთ ღმერთმა.

დიდი მადლობა წამყვანობის გამოცდილებისთვის ჩემს დამსაქმებელს, მით უმეტეს „გაყინული თეატრების“ პერიოდში ეს ჩემთვის ძალიან დროული და საჭირო იყო. გაჩერება მსახიობისთვის მომაკვდინებელია.

2. „ფორმულაზე“ მიმყავდა „ყვითელი ყუთი“ და არა პოლიტიკური ტოკშოუ. თუმცა, დღეს „ფორმულაზე“ აღარ ვმუშაობ, მაგრამ ეს ცალკე თემაა.

3. პოლიტიკა არასოდეს ყოფილა ჩემი ინტერესის სფერო, პოლიტიკაზე კამათის უფლებასაც არ ვაძლევ საკუთარ თავს, იმიტომ, რომ არ არის ეს ჩემი საქმე და ვერც ვერკვევი!

მეტსაც გეტყვით, მეზიზღება მიტინგები – გადაკეტილი ქუჩები, ხმაური და შარდის სუნით აყროლებული მიმდებარე სადარბაზოები, საშინელ დისკომფორტს გვიქმნის იმ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს, მენდეთ.

აღბათ ჯობია, თუნდაც არქიტექტორმა ხაზოს პროექტები ისე, რომ მისთვის არ ჰქონდეს მნიშვნელობა დამკვეთის პოლიტიკურ ორიენტაციას!

რეჟისორმა დადგას სპექტაკლები! დიახ, რეჟისორმა!!

პოლიტიკოსები მიხედავენ თავის საქმეს, ზოგი ცუდად, ზოგი – უკეთესად. ყველგან მარტო ცუდი ან მარტო კარგი არ არსებობს.

მეც შევეცდები, განვაგრძო ცხოვრება, ჩემი საქმე ვაკეთო და დაგიმტკიცოთ, რომ არ ვარ შარში!

თაკო ცქვიტინიძეს ნიკა ფაიქრიძემ ხელი სთხოვა

მსახიობსა და ტელეწამყვანს თაკო ცქვიტინიძეს მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობმა ნიკა ფაიქრიძემ ხელი სთხოვა.

ნიკა თაკოს გადაცემაში სტუმრად მოვიდა და სრულიად მოულოდნელად საყვარელ ქალს ყვავილების ულამაზესი თაიგული და ბეჭედი მიართვა.

თაკო და ნიკა ამჟამად ორივე მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები არიან.

თაკო ცქვიტინიძე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ ნიკა კუჭავაზე 6 წელი იყო დაქორწინებული.

ნიკასა და თაკოს გაბედნიერების ამბავი ათასობით მაყურებელმა პირდაპირ ეთერში შეიტყო. მსახიობებმა უამრავი მილოცვა და კეთილი სურვილები მიიღეს.

მამაკაცმა სახლში სარესტავრაციო სამუშაოების შესრულებისას ორი ჩანთა ფული იპოვა

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის მცხოვრებმა სახლის სხვენში დამალული ორი ჩანთა ფული იპოვა.

მამაკაცმა ეს აღმოჩენა იმ დროს გააკეთა, როდესაც სარესტავრაციო სამუშაოებით იყო დაკავებული. ერთ-ერთი უძველესი პანელის ქვეშ, რომელიც ჭერზე იყო მიკრული, ჩანთა იყო დამალული.

– მე ის გამოვიღე და ცოლს დავუძახე, – იხსენებს მამაკაცი, – შიგნით რაღაც იდო, მაგრამ არა მონეტებივით ან ოქროს ზოდებივით მძიმე.

ჩანთაში აღმოჩნდა 1951 წლის 25 მარტის გამოშვება გაზეთი Cleveland Plain Dealer, ქაღალდის სამი გორგალი და 1928-34 წლებში დაბეჭდილი ფულის შეკვრები. ამის შემდეგ მამაკაცმა დაწყებული სამუშაოები გააგრძელა და ფული სავსე მეორე ჩანთასაც მიაგნო. სულ ჩანთებში 45 ათასი დოლარი ეწყო.

– ჩვენ მოსაწყენი ხალხი ვართ და მთელ დამატებით შემოსავალს იპოთეკის გადახდას ვახმართ, – აღიარა მამაკაცმა, რომელიც ნაპოვნი ფულის სწორედ ამ მიზნით გამოყენებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

არჩილ სულაკაური 95 წლის გახდებოდა



მწერალი არჩილ სულაკაური 95 წლის გახდებოდა.

იგი იყო პოეტიც და პროზაიკოსიც. მისი პოეტური კრებულები „ოთხივე მხრიდან“ და „სიჩუმე“ და პროზაული კრებულები „ბიჭი და ძაღლი“, „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან“, „ოქროს თევზი“, „თეთრი ცხენი“, „სალამურას თავგადასავალი“ მკითხველში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

არჩილ სულაკაური წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „ნაკადულსა“ და ჟურნალ „მნათობს“. სხვადასხვა წლებში მიღებული აქვს რუსთაველის პრემია და სხვადასხვა მედალი და ორდენი.

არჩილ სულაკაური 70 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 თებერვლისათვის

ვერძი – კრიტიკული და ცდუნებებით სავსე დღეა. იყავით თავშეკავებული და მშვიდი. **კურო** – დღის პირველი ნახევარი წარმატებას გიქადით. საღამოს ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. **ტყუპები** – სიტუაციის არასწორად აღქმა შეცდომების დაშვების ალბათობას შექმნის. ცივი გონებით მოქმედებაა საჭირო. **კირჩხიბი** – ნუ იქნებით ეჭვიანი. საღი განსჯა და მოვლენებისადმი ადეკვატური მიდგომა დღის დევიზია. **ლომი** – პირად ცხოვრებაში სირთულეები გექმნებათ. რისკთან დაკავშირებული მოქმედებებისაგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** – ახლობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობა დაძაბულია. სიტუაციას მხოლოდ სიმშვიდითა და ემოციების მოთოკვით თუ განმუხტავთ. **სასწორი** – ტრანსფორმაციის დღეა. მომავლის თამამად დაგეგმვა გაამართლებს. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი აღმავლობა გელით. საინტერესო მოვლენები დილიდანვე დაიწყება. **მშვილდოსანი** – იდეების რეალიზაციაში ხელი გეშლებათ. იოლად ნურავის მიენდობით. პირად ცხოვრებაში არავინ ჩარიოთ. **თხის რქა** – საკუთარი პოზიციები აუცილებლად დაიცავით. ინიციატივას ნუ დათმობთ. **მერწყული** – ნუ გარისკავთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. სამოგზაუროდ წასვლა მომავლისათვის გადადეთ. **თევზები** – ნეგატიური დღეა. იფრთხილეთ, განსაკუთრებით – საჭესთან. გარშემომყოფებს კამათში ნუ აჰყვებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვარედინი 2



შვეულად: 1. სამრეწველო რაიონი უკრაინაში; 2. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. სათხილამურო სწრაფდაშვების ერთ-ერთი დისციპლინა; 5. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 9. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 11. გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული ვადითა და პირობებით; 12. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 14. მე-17 საუკუნის გერმანელი ასტრონომი; 18. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 19. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 5. ქართველ მწერალ დესპინე გელოვანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 6. იაპონელი მოდელიერი; 7. მოსავლის ამღები კომბაინის წინა, სამკალი ნაწილი; 8. პოპულარული ირლანდიური ლუდი; 10. ნავსადგური ყირიმში; 13. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 15. იტალიელი მოდელიერი; 16. შტატი აშშ-ში; 17. საცხენოსნო შეჯიბრება; 20. ქართული მინერალური წყალი; 21. სატუსაღო ძველ თბილისში; 22. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 23. სამხედრო ფორმის ქურთუკი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა